

კითხვარი თბილისის მერობის კანდიდატებისთვის¹

გთხოვთ, პასუხი გასცეთ ქვემოთ ჩამოთვლილ შეკითხვებს. თითოეული არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას. შეგიძლიათ, არ უპასუხოთ ზოგიერთ შეკითხვას, რომელზეც ჯერჯერობით არ გაქვთ გამოკვეთილი პოზიცია ან, თქვენივე შეფასებით, ესა თუ ის საკითხი ცალკე პოლიტიკის გატარებას არ საჭიროებს.

ზოგადი ხედვა / წინასაარჩევნო პროგრამის მოკლე შეჯამება

1. როგორია თქვენი ხედვა ქალაქის განვითარების ძირითად პრიორიტეტებთან დაკავშირებით?

2017 წელს ჩვენი მისია იყო, თბილისი გვექცია სიცოცხლით სავსე ქალაქად, სადაც დაწესდებოდა გარემოსდაცვითი სტანდარტები, მოწესრიგდებოდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, განაშენიანება მოხდებოდა გეგმაზომიერად, ინფრასტრუქტურა განახლდებოდა ევროპის საუკეთესო ქალაქების მაგალითზე. დღეს ჩვენი ამოცანაა, ეს სიკეთეები ვაქციოთ სტანდარტად დედაქალაქის ყველა უბნისთვის, რომ ყველა უბანს ჰქონდეს ერთნაირი და უმაღლესი სტანდარტის ინფრასტრუქტურა, დედაქალაქის ყველა უბანში მცხოვრებ ადამიანებს ერთნაირად მიუწვდებოდეთ ხელი მუნიციპალურ სერვისებსა და ყველა იმ სიკეთეზე, რისი შეთავაზებაც სახელმწიფოს შეუძლია. მეტი სიცოცხლე ყველა უბანში - ეს იქნება ჩვენი პასუხი თბილისის წინაშე არსებულ გამოწვევებზე და ეს იქნება ჩვენი მისია მომავალი 4 წლის განმავლობაში!

განვითარება და ეკონომიკა

2. გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ თბილისის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების თქვენეული ხედვა/გეგმა (არსებობის შემთხვევაში).

კანდიდატის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

3. თქვენი აზრით, რა მთავარი პრობლემები უშლის ხელს დედაქალაქის ეკონომიკურ განვითარებას?

კანდიდატის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

4. რა არის თბილისის ძირითადი შესაძლებლობები/უპირატესობები, რომელთა გამოყენებასაც შეეცდებით მისი ეკონომიკური და ურბანული განვითარების მისაღწევად?

კანდიდატის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

5. როგორია თქვენი საბიუჯეტო პრიორიტეტები? გთხოვთ, მოკლედ განმარტოთ თქვენი საბიუჯეტო პოლიტიკა.

¹ ინფორმაცია აღებულია “ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს ვებ-გვერდზე განთავსებული პროგრამიდან. წყარო: <https://gd.ge/programs>

კანდიდატის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

6. რა ღონისძიებებს გაატარებთ თბილისის ბიზნეს და კომერციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და ინვესტიციების მოსაზიდად?

ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა - ჩვენმა გუნდმა შეიმუშავა ეკონომიკური შეღავათების პაკეტი, რომელიც გულისხმობს:

1. 2021-2022 წლების პერიოდში მოიჯარეთა ქირისგან სრულად გათავისუფლებას, რითაც 700-მდე მოიჯარე ისარგებლებს; საუბარია ჯამში 11 მილიონამდე ლარზე;
2. ღია კაფეების ქირისგან გათავისუფლებას 2022 წლის ბოლომდე, რითაც 160-მდე ღია კაფე ისარგებლებს; საუბარია ჯამში დაახლოებით 800 000 ლარზე;
3. 1000-მდე მოიჯარესა და ღია კაფეს მფლობელს საშუალება ექნება, უძრავი ქონებით სარგებლობის ვადა დღეს მოქმედი სახელმეკრულებო პირობებით, დამატებით, 2 წლით გაიხანგრძლივოს. ამასთანავე, იმ მოიჯარეებს, რომელთაც სარგებლობის ვადა ამოწურათ/ხელმეკრულება ვადაზე ადრე შეუწყდათ - 2020 წლის 1-ლი იანვრიდან - დღემდე, ან რომელთა ხელმეკრულების ვადაც 2022 წლის პირველ იანვრამდე იწურება, მუნიციპალიტეტი სთავაზობს ხელმეკრულების ვადის აღდგენა-გაგრძელებას 2024 წლის პირველ იანვრამდე. აღნიშნული ღონისძიება შეეხება იმ მოიჯარეებს, რომლებიც ხელმეკრულების ვადის გასვლის/შეწყვეტის მიუხედავად, ფაქტობრივად, დღემდე სარგებლობენ უძრავი ქონებით;
4. ათასობით მოიჯარეს, რომელთაც სარგებლობის ქირის გადაუხდელობის გამო მილიონობით ლარის პირგასამტეხლო ერიცხებათ, დაკისრებული და დასაკისრებელი პირგასამტეხლოები ჩამოეწერებათ;
5. ტურისტული ობიექტები ერთჯერადად გათავისუფლდება დასუფთავების მოსაკრებლისგან.

[ურბანული განვითარება / ქალაქდაგეგმარება / ბინათმშენებლობა](#)

7. როგორ ფიქრობთ მოქალაქეთა საბინადრო პირობების გაუმჯობესებას?

ჩვენს მოქალაქეებზე ზრუნვა ის მთავარი მიზანი და ამოცანა იყო, რის გამოც 4 წლის წინ თქვენი ნდობა და მხარდაჭერა ვითხოვე. ეს ამოცანა ჩემთვის იყო, არის და იქნება უპირობო პრიორიტეტი. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენი გუნდი ზრუნავდა ჩვენს ქალაქსა და თითოეულ მოქალაქეზე, მრავალი სოციალური პროექტიც განვახორციელეთ, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი. ჩვენი თანაქალაქელების პრობლემები პირადად ჩემთვის და ჩემი გუნდისთვის მტკივნეული საკითხია და მზად ვართ, ამ მიმართულებით, თბილისელების უკეთესი ხვალისდელი დღისთვის, კიდევ უფრო აქტიურად ვიმუშაოთ. სოციალურ პრობლემათა შორის ერთ-ერთ მწვავე პრობლემად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების საკითხი დგას. სამწუხაროდ, მრავლად გვყავს ოჯახი, რომლებმაც სახლკარი სხვადასხვა მიზეზის გამო დაკარგეს. მე და ჩემმა თანაგუნდელებმა, ერთიანი ხედვით, ჩამოვყალიბეთ უსახლკარობის პრობლემის ეფექტიანად გადაწყვეტის გზები და ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებით სამოქმედო გეგმას. ამას გარდა, ჩვენი მიზანია, კერძო სექტორისა და მუნიციპალიტეტის მჭიდრო თანამშრომლობით, 4 წლის თავზე თბილისში აღარ იყოს არც ერთი

დაუმთავრებელი მშენებლობა და დაკმაყოფილდეს ყველა უსახლკარო თუ დაზარალებული ოჯახი. მზრუნველი ქალაქის კონცეფცია თანასწორობის პრინციპზეა დაფუძნებული, რაც ერთი მხრივ, მოქალაქეთა საჭიროებების, მეორე მხრივ კი, კერძო სექტორის ინტერესების გათვალისწინებას გულისხმობს. ამის დასტურია უკვე განხორციელებული მხარდაჭერის ყველა ის პროექტი, რომელიც პანდემიით გამოწვეულ ფორსმაჟორულ პირობებში კიდევ უფრო გააქტიურდა და სამომავლო გეგმებში კვლავ პრიორიტეტულ საკითხად რჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ მომდევნო წლების განმავლობაში კიდევ უფრო აქტიურად გავაგრძელებთ ეკონომიკური კრიზისით დაზარალებული სუბიექტების მხარდაჭერას მნიშვნელოვანი სამედიაციო პროგრამებით.

8. რა ღონისძიებებს გეგმავთ დედაქალაქში ქუჩების უკეთ დასუფთავებისთვის?

კანდიდატის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი

9. რა ღონისძიებებს მიმართავთ ქალაქში ქვეითთა გადაადგილების მაქსიმალური უსაფრთხოებისა და კომფორტისთვის?

სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება, აკაკი წერეთლის გამზირს, ვაჟა-ფშაველას გამზირს, რუსთაველის გამზირს, მელიქიშვილის გამზირს, ქეთევან დედოფლის გამზირსა და ბელიაშვილის ქუჩას; ასევე, სრულად რეაბილიტირდება უნივერსიტეტის ქუჩა, კრწანისის ქუჩა, გომიაშვილის ქუჩა და კოჯრის გზატკეცილი. აღნიშნული პროექტების ფარგლებში განახლდება მიწისზედა და მიწისქვეშა საკომუნიკაციო ქსელები, მოეწყობა ახალი სახანძრო ჰიდრანტები, ახალი ტროტუარები, შეიცვლება ბორდიურები და საავტომობილო გზაზე ახალი საფარი დაიგება. დაიხაზება საავტობუსე ზოლები, ველობილიკები და მოეწყობა უსაფრთხო სივრცე ქვეითად მოსიარულეთათვის.

10. როგორია საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესების თქვენეული გეგმა?

მომდევნო 4 წლის განმავლობაში თბილისის სატრანსპორტო მიმართულებით შემდეგი პროექტების განხორციელებას ვგეგმავთ:

- **ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემა** - ჭკვიანი/გონიერი სატრანსპორტო სისტემა (ITS) არის მოწინავე სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს ინოვაციური სერვისებითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფას, რომლებიც დაკავშირებულია ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობასა და მოძრაობის მენეჯმენტთან, საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, უკეთ იყენონ ინფორმირებულები, გადაადგილება გახდეს უფრო უსაფრთხო, კოორდინირებული და მოხდეს სატრანსპორტო ქსელების რაციონალური გამოყენება.
- **დამატებით 380 ერთეული ახალი ავტობუსი თბილისს** - ჩვენ მიერ განახლებულ ავტობუსების პარკს, არსებულ და ახალ მარშრუტებზე, 200 ერთეული 18-მეტრიანი და 180 ერთეული 8-მეტრიანი ახალი ავტობუსი დაემატება.

- მიკროავტობუსების პარკის განახლება - მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება მიკროავტობუსების პარკის განახლება და ყვითელ მიკროავტობუსებს სრულად ჩაანაცვლებს ახალი მიკროავტობუსები.
- **10 სატრანზიტო დერეფანი** - საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპერირებისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, გაგრძელდება 10 სატრანზიტო დერეფნის მოწყობა.
- **ახალი ვაგონები თბილისის მეტროპოლიტენში** - მომდევნო 2 წლის განმავლობაში მეტროპოლიტენს სრულიად ახალი 40 ვაგონი შეემატება.
- **მეტროს სადგურების განახლების პროგრამა** - განხორციელდება მეტროს სადგურების რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც დაფინანსდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ. ამისთვის გამოიყოფა 60 მილიონი ევრო.
- **ვადიანი სამგზავრო აბონემენტების სისტემური დანერგვა** - თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლებული ქსელის დანერგვის პარალელურად, ევროპული ქალაქების საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით, დაგეგმილია ვადიანი სამგზავრო აბონემენტების სხვადასხვა სისტემის ამოქმედება.
- **2 ახალი საბაგირო დერეფანი** - საბაგირო ტრანსპორტი სრულიად ეხმიანება ქ. თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკასა და დედაქალაქში ტრანსპორტის განვითარების ხედვას; შესაბამისად, განვახორციელებთ 2 ახალი საბაგიროს პროექტს.
- **დამატებით 315 კილომეტრამდე ველობილიკი თბილისის** - რაც შესაძლებლობას მოგვცემს, შეიკრას ერთიანი ქსელი ველოტრანსპორტით კომფორტული გადაადგილებისთვის.
- **ტაქსების რეფორმის III ეტაპი** - გაგრძელდება ტაქსების რეფორმის მესამე ეტაპი, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და ტაქსის ბაზარზე ტაქსისტებისთვის სტაბილური ეკონომიკური პირობების შექმნას.

11. რა ქმედით ნაბიჯებს გადადგამთ დედაქალაქში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის?

მომდევნო 4 წლის განმავლობაში, საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 2 მილიარდ ლარამდე დაიხარჯება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- აშენდება უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდი. ვეფხვი და მოყმის ძეგლის მიმდებარედ მოეწყობა მარშალ გელოვანის გამზირისა და მარჯვენა სანაპიროს დამაკავშირებელი კვანძი; მოეწყობა ყიფშიძისა და ჭაბუა ამირეჯიბის ქუჩების დამაკავშირებელი ახალი გზა.
- სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება: მინდელის ხიდს, რომელიც აშენებულია 1989 წელს და საჭიროებს რეაბილიტაციას, მეტეხის ხიდს, რომელიც აშენებულია 1951 წელს და ასევე საჭიროებს რეაბილიტაციას; შალიკაშვილის სახელობის (დიდუბის) ხიდს, რომელიც აშენებულია 1953 წელს და საჭიროებს რეაბილიტაციას.
- სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება, აკაკი წერეთლის გამზირს, ვაჟა-ფშაველას გამზირს, რუსთაველის გამზირს, მელიქიშვილის გამზირს, ქეთევან დედოფლის გამზირსა და ბელიაშვილის ქუჩას; ასევე, სრულად რეაბილიტირდება უნივერსიტეტის ქუჩა, კრწანისის ქუჩა, გომიაშვილის ქუჩა და კოჯრის გზატკეცილი. აღნიშნული პროექტების ფარგლებში განახლდება მიწისზედა და მიწისქვეშა საკომუნიკაციო ქსელები, მოეწყობა ახალი

სახანძრო ჰიდრანტები, ახალი ტროტუარები, შეიცვლება ბორდიურები და საავტომობილო გზაზე ახალი საფარი დაიგება. დაიხაზება საავტომობილო ზოლები, ველობილიკები და მოეწყობა უსაფრთხო სივრცე ქვეითად მოსიარულეთათვის.

- სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება რესპუბლიკის მოედანთან არსებულ გვირაბსა და მიწისქვეშა ავტოსატრანსპორტო გასასვლელს. გვირაბი და მიწისქვეშა გასასვლელი ექსპლოატაციაში შევიდა 1981 წლიდან და საჭიროებს რეაბილიტაციას; სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება გმირთა მოედანზე მიწისქვეშა გზაგამტარს, რომელიც ექსპლოატაციაში შევიდა 1978 წლიდან და საჭიროებს განახლებას. მოეწყობა სოფელ დილომსა და ავჭალის დასახლებაში, ასევე, ივერთუბანში წყალარინების ქსელი, სანიაღვრე სისტემა და რეაბილიტირდება გზის საფარი.
- რეაბილიტაცია ჩაუტარდება მეტეხის საავტომობილო გვირაბებს, ორივე მიმართულებით, ჯამურად 2500 მ სიგრძის მონაკვეთზე. პროექტის ღირებულება 200 მლნ ლარს შეადგენს.
- დამატებით, ათივე რაიონში კაპიტალურად შეკეთდება 1000-მდე ქუჩა. სამუშაოები მოიცავს გზის სავალი ნაწილის, ტროტუარების, მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და გარეგანათების ქსელის განახლებას; გაგრძელდება თბილისის შემოერთებული ტერიტორიების წყლის, წყალარინების, სანიაღვრე, გარეგანათებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები.

12. რა მექანიზმებით ფიქრობთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადაადგილების ხელშეწყობას?

შშმ პირთა პერსონალური დახმარების სერვისის პროგრამა - შშმ პირთა მხარდასაჭერად, სპეციალური სტანდარტის მიხედვით დაფინანსდება პერსონალური ასისტენტის მომსახურება, რაც გულისხმობს განათლების მიღების, სამუშაოს შესრულების, საჯარო სერვისებით სარგებლობის ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას მათ მხარდაჭერას. პროგრამის მიზანია შესაბამისი საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

13. როგორ აპირებთ უპატრონო ცხოველების საკითხის მოგვარებას?

კანდიდატის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

კულტურა და განათლება

14. როგორია თქვენი ხედვა თბილისის კულტურული და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით?

- **მუზეუმების რეაბილიტაცია** - განხორციელდება კოსტავას მუზეუმის სრული რეაბილიტაცია და ექსპოზიციის განახლება; რეაბილიტირდება ჩუბინაშვილის ქუჩაზე მდებარე ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმი; რეაბილიტირდება მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი; გამოიყოფა სივრცე თბილისის სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმისათვის და 2012 წლიდან დევნილი მუზეუმი დამთვალიერებელს დაუბრუნდება; თბილისი -

წიგნის მსოფლიო დედაქალაქის ფარგლებში, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში აღდგება პირველი ქართული სანოტო სტამბა.

- **6 სახელოვნებო სკოლის რეაბილიტაცია** - (დეტალური ჩამონათვალი იხილეთ კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამაში).
- **გლდანის ახმეტელის თეატრის რეაბილიტაცია და განახლება** - ინკლუზიური თეატრის მოწყობის მიზნით, განხორციელდა ახმეტელის თეატრის დამატებითი ფლიგელის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი. გაგრძელდება აღნიშნული სივრცის სრულად აღჭურვა და ადაპტირება თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში. ასევე, განახლდება თეატრის ექსტერიერი და ინტერიერი და განხორციელდება მთავარი დარბაზის რეაბილიტაცია, თანამედროვე თეატრის შესაბამისი გახმოვანება-განათების სისტემების მონტაჟით.
- **ორივე პანთეონის ძეგლების რესტავრაცია** - მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონის შემადგენლობაში შემავალი დიდუბისა და მთაწმინდის პანთეონებში 600-მდე საფლავია (მთაწმინდაზე - 60, დიდუბეში - 500-ზე მეტი). აქედან 200-ზე მეტი საფლავი და 25-ზე მეტი ძეგლი მძიმედ არის დაზიანებული და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას საჭიროებს. სარეაბილიტაციო პროცესის დაწყების მიზნით, შევიმუშავეთ შესაბამის პროექტს, რომლის მიხედვითაც დავიწყებთ რესტავრაციის სამუშაოებს.
- **თემატური სახელოვნებო ჰაბების მოწყობა** - დენდროლოგიურ პარკში დენდროლოგიურ პარკში შეიქმნება თანამედროვე დიზაინის სამუშაო და სასწავლო სივრცე სახელოვნებო ჯგუფებისთვის, სადაც ჩატარდება თემატური ვორქშოფები, ტრენინგები და მასტერკლასები. დამატებით, მოეწყობა სამუშაო სივრცე აღნიშნული ჯგუფების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით.
- **ეთნიკური უმცირესობებისა და ეროვნული პროექტების დაფინანსება** - პროგრამის მიზანია თბილისის მულტიკულტურული თვითმყოფადობისა და დედაქალაქში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შემოქმედებითი გამოხატვის უზრუნველყოფა, ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და კულტურული მრავალფეროვნების მხარდაჭერა, რაც გულისხმობს მათთვის ღირსეული თანაცხოვრების პირობების შექმნასა და ეროვნული ტრადიციების წარმოჩენა/პოპულარიზაციას.

15. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რას მოიმოქმედებთ თბილისში განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად?

მრავალშვილიანი და შშმ პირების სწავლის დაფინანსება - მრავალშვილიანი ოჯახების წევრი სტუდენტებისა და შშმ სტუდენტების უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდება თბილისში რეგისტრირებული ზემოაღნიშნული პირების სწავლის დაფინანსება ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამ მიმართულებით ყოველწლიურად დაფინანსდება 600-ზე მეტი სტუდენტი.

უსაფრთხოება და კრიმინალი

16. რა ღონისძიებებს გაატარებთ კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის, კრიმინალის პრევენციისთვის?

კანდიდატის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა

17. როგორი იქნება თქვენი სოციალური პოლიტიკა დედაქალაქში? რა სოციალური პროგრამები განხორციელდება?

ჩვენი თანაქალაქელების პრობლემები პირადად ჩემთვის და ჩემი გუნდისთვის მტკივნეული საკითხია და მზად ვართ, ამ მიმართულებით, თბილისელების უკეთესი ხვალისდელი დღისთვის, კიდევ უფრო აქტიურად ვიმუშაოთ. სოციალურ პრობლემათა შორის ერთ-ერთ მწვავე პრობლემად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების საკითხი დგას. სამწუხაროდ, მრავლად გვყავს ოჯახი, რომლებმაც სახლკარი სხვადასხვა მიზეზის გამო დაკარგეს. მე და ჩემმა თანაგუნდელებმა, ერთიანი ხედვით, ჩამოვყალიბეთ უსახლკარობის პრობლემის ეფექტიანად გადაწყვეტის გზები და ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებით სამოქმედო გეგმას. ამას გარდა, ჩვენი მიზანია, კერძო სექტორისა და მუნიციპალიტეტის მჭიდრო თანამშრომლობით, 4 წლის თავზე თბილისში აღარ იყოს არც ერთი დაუმთავრებელი მშენებლობა და დაკმაყოფილდეს ყველა უსახლკარო თუ დაზარალებული ოჯახი. მზრუნველი ქალაქის კონცეფცია თანასწორობის პრინციპზეა დაფუძნებული, რაც ერთი მხრივ, მოქალაქეთა საჭიროებების, მეორე მხრივ კი, კერძო სექტორის ინტერესების გათვალისწინებას გულისხმობს. ამის დასტურია უკვე განხორციელებული მხარდაჭერის ყველა ის პროექტი, რომელიც პანდემიით გამოწვეულ ფორსმაჟორულ პირობებში კიდევ უფრო გააქტიურდა და სამომავლო გეგმებში კვლავ პრიორიტეტულ საკითხად რჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ მომდევნო წლების განმავლობაში კიდევ უფრო აქტიურად გავაგრძელებთ ეკონომიკური კრიზისით დაზარალებული სუბიექტების მხარდაჭერას მნიშვნელოვანი საშეღავათო პროგრამებით. მზრუნველი ქალაქის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი პროექტები:

- **არც ერთი უსახლკარო ოჯახი** - არსებული მწვავე პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, ჩვენ მუშაობის სისტემური მიდგომა ვარჩიეთ, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სპეციალური ახალი პროგრამის შექმნას, რომლითაც მოხდება უსახლკარო ოჯახებისთვის საჭირო საცხოვრებელი ფართობების შექმნა და სარგებლობის უფლებით გადაცემა. ამ პროგრამის განხორციელების შედეგად, თბილისის მუნიციპალიტეტში აღარ გვეყოლება არც ერთი უსახლკარო ოჯახი.
- **არც ერთი დაუსრულებელი მშენებლობა** - 2018 წლიდან მერიამ დაიწყო მუშაობა დედაქალაქში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების პრობლემის გადაწყვეტაზე. შეიქმნა დაუმთავრებელი მშენებლობების განმხილველი სპეციალური კომისია და იდენტიფიცირდა 179 დაუმთავრებელი მშენებლობა ანუ 13000 დაზარალებული ოჯახი. დასაკმაყოფილებელი საერთო სამშენებლო ფართობი კი 1 000 000 კვმ-მდე განისაზღვრა.

18. რა გზებს მიმართავთ თბილისში ჯანდაცვის ზოგადი ინდიკატორების გაზრდისთვის?

მომდევნო წლიდან ჯანდაცვის მიმართულებით არსებულ პროგრამებს დაემატება შემდეგი პროგრამები:

- **ონკომედიკამენტების პროგრამის გაფართოება** - მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამა გაფართოვდება, რაც გულისხმობს ონკოლოგიური დიაგნოზების სამკურნალოდ საჭირო მედიკამენტების ჩამონათვალის გაზრდასა და არაჰოჯკინის ლიმფომისა თუ რევმატიოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებას.
- **სახსრების ენდოპროთეზირება** - დაფინანსდება სახსრების ენდოპროთეზირება, რაც გულისხმობს თბილისის მოსახლეობისთვის მენჯ-ბარძაყისა და მუხლის სახსრის ენდოპროთეზირებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.
- **ორგანიზებული სკრინინგი** - განხორციელდება დაავადებათა ორგანიზებული სკრინინგი, რაც გულისხმობს კიბოს პრევენციის მიზნით მოსახლეობის დროულ ჩართვას მიზნობრივ გამოკვლევებში.
- **გაფანტული სკლეროზის გამოკვლევების პროგრამა** - გაფართოვდება გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების პროგრამა, რაც გულისხმობს აღნიშნული დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის საჭირო მაღალტექნოლოგიური კვლევის, კერძოდ, მრტკვლევის დაფინანსებას.
- **ბუძუს კიბოს დიაგნოსტიკა** - ბუძუს კიბოს სადიაგნოსტიკო კვლევების ხელმისაწვდომობისა და სწორი დიაგნოსტიკის ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდება ბუძუს ექოსკოპიის, მრტ-კვლევისა და სხვა ლაბორატორიული კვლევების დაფინანსება.
- **დაავადებათა სკრინინგის გაფართოება** - გაფართოვდება დაავადებათა სკრინინგის პროგრამის საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის კომპონენტი, კერძოდ, დაემატება HPV-ტესტირება, რაც გულისხმობს კვლევის უფრო თანამედროვე და მაღალი ხარისხის ხელმისაწვდომობას.
- **შშმ პირთა პერსონალური დახმარების სერვისის პროგრამა** - შშმ პირთა მხარდასაჭერად, სპეციალური სტანდარტის მიხედვით დაფინანსდება პერსონალური ასისტენტის მომსახურება, რაც გულისხმობს განათლების მიღების, სამუშაოს შესრულების, საჯარო სერვისებით სარგებლობის ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას მათ მხარდაჭერას. პროგრამის მიზანია შესაბამისი საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.
- **სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება** - აღნიშნული პროგრამა მოიცავს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ძვირადღირებულ კვლევებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და შემდეგი მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსებას: ანგიოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია და მრტ-კვლევა.

19. რა ღონისძიებებს გეგმავთ ქალაქში მიუსაფართა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად?

არც ერთი უსახლკარო ოჯახი - არსებული მწვავე პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, ჩვენ მუშაობის სისტემური მიდგომა ვარჩიეთ, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სპეციალური ახალი პროგრამის შექმნას, რომლითაც მოხდება უსახლკარო ოჯახებისთვის საჭირო საცხოვრებელი ფართობების შეძენა და სარგებლობის უფლებით გადაცემა. ამ პროგრამის განხორციელების შედეგად, თბილისის მუნიციპალიტეტში აღარ გვეყოლება არც ერთი უსახლკარო ოჯახი.

ეკოლოგია, რეკრეაცია და სპორტი

20. როგორია თქვენი გეგმები და ხედვა თბილისის ეკოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით?

გარემოს დაცვა თბილისის უმთავრეს პრიორიტეტად იქცა და, შესაბამისად, ყოველწლიურად იზრდება აღნიშნული მიმართულებით გამოყოფილი ბიუჯეტი. ჯანსაღი ქალაქის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის უმთავრესი ამოცანაა, რისთვისაც გავაგრძელებთ თბილისის ყველა უბანში ახალი პარკების მშენებლობას, არსებულის რეაბილიტაციასა და ახალი სარეკრეაციო სივრცეების მოწყობას. მომდევნო 4 წლის განმავლობაში ავაშენებთ და განვაახლებთ 15 პარკს, 300 ჰექტარ ფართობზე აღვადგენთ დეგრადირებულ ტყეს, მინიმუმამდე შევამცირებთ ჰაერის მტვრით დაბინძურებას და დავნერგავთ ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მოდელს. მომდევნო 4 წლის განმავლობაში გარემოს დაცვის მიმართულებით 300 000 000 ლარი დაიხარჯება. ჯანსაღი ქალაქის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა მასშტაბური პროექტი.

21. რა ღონისძიებებს გაატარებთ თბილისში რეკრეაციული ზონების, პარკების გაფართოებისა და განვითარებისთვის?

მომდევნო 4 წლის განმავლობაში ავაშენებთ და განვაახლებთ 15 პარკს, 300 ჰექტარ ფართობზე აღვადგენთ დეგრადირებულ ტყეს, მინიმუმამდე შევამცირებთ ჰაერის მტვრით დაბინძურებას და დავნერგავთ ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მოდელს. მომდევნო 4 წლის განმავლობაში გარემოს დაცვის მიმართულებით 300 000 000 ლარი დაიხარჯება. ჯანსაღი ქალაქის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი პროექტები:

- **თბილისის 15 ახალი პარკი** - ჩვენს დედაქალაქში მოეწყობა და განახლდება 15 ახალი პარკი (დეტალური ჩამონათვალი იხილეთ კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამაში).
- **რეაბილიტაცია ჩაუტარდება და განახლდება საპარკო ინფრასტრუქტურა პუშკინის სახელობის სკვერს.**
- **სუფთა ჰაერი თბილისს** - ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მომდევნო 4 წლის განმავლობაში ახალი პარკები და სარეკრეაციო სივრცეები მოეწყობა. სატრანსპორტო ქსელი დაიგეგმება იმგვარად, რომ ქალაქი სრულად ადაპტირდეს ეკომეგობრულ ტრანსპორტთან. ამასთანავე, მომდევნო წლების განმავლობაში გამკაცრდება რეგულაციები ამტკვერებადი მასალის განთავსებასა და რეალიზაციაზე.
- **ნარჩენების მართვა** - მომდევნო წლების განმავლობაში დედაქალაქში ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის დასანერგად განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: წყაროსთან სეპარირების სისტემის დანერგვა, ნარჩენების გადამუშავება, სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია. 2025 წლისთვის კი სრულად დაინერგება ქაღალდის, მინის, მეტალისა და პლასტიკის ნარჩენებისთვის წყაროსთან სეპარირების სისტემა.
- **გამწვანე შენი უბანი** - მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, მომდევნო წლიდან შესაძლებელი გახდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ საკუთარი ეზოს გამწვანება, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს გამწვანებული სივრცეების გაზრდას უბნებში, მეორე მხრივ კი, აამაღლებს მოქალაქეთა ცნობიერებას გარემოს დაცვის მიმართულებით.

- **ტყის აღდგენის პროექტი** - მომდევნო 4 წლის განმავლობაში ფონდ “ქართუსთან” ერთად, აღდგება 300 ჰა დეგრადირებული ტყე, ხოლო ქალაქის ურბანულ სივრცეში გაიზრდება მწვანე საფარი, სრულად განახლდება ამორტიზებული/დაავადებული მწვანე ნარგავები და ქალაქში გაჩნდება ახალი მწვანე კუნძულები.

22. რის გაკეთებას აპირებთ სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებისთვის და სპორტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად?

სპორტი ახალგაზრდა და უფროსი თაობისთვის - სპორტული რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, 18 წლამდე ასაკის სპორტით დაკავებული ახალგაზრდებისთვის შემუშავდება სპეციალური საშეღავათო პაკეტი როგორც პროფილაქტიკური და სამედიცინო გამოკვლევების, ისე სარეაბილიტაციო სერვისების ხელმისაწვდომობის მიზნით. პაკეტი უფასო იქნება სოციალურად დაუცველი და შშმ პირებისთვის; უფროსი თაობის მოქალაქეების ფიზიკური აქტივობისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა სპორტულ ცენტრში, 65 წელს ზემოთ მომხმარებლებისთვის, დღის განსაზღვრულ მონაკვეთში, ნებისმიერი სერვისით სარგებლობა გახდება უფასო.

თბილისის სასკოლო და საუნივერსიტეტო ლიგა - პროექტის ფარგლებში, სკოლებსა და უნივერსიტეტებში, სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩამოყალიბდება კლუბები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ყოველწლიურ სასკოლო და საუნივერსიტეტო ლიგებში. მერია უზრუნველყოფს სკოლებში სპორტის პედაგოგების გადამზადებასა და სკოლების აღჭურვას სპორტული ინვენტარით. პროექტში ჩაერთვება თბილისში მოქმედი 300-მდე სკოლა და 39 უმაღლესი სასწავლებელი. გაგრძელდება თბილისის ფეხბურთის მასტერ ლიგის მხარდაჭერა და განვითარება. მომდევნო 4 წლის განმავლობაში მონაწილე გუნდების რაოდენობა 200-მდე გაიზრდება.

სპორტი ინფრასტრუქტურა - გრძელდება 10 მულტიფუნქციური ახალგაზრდული ცენტრის პროექტი და მომდევნო 4 წლის განმავლობაში განხორციელდება დამატებით 8 ცენტრის მშენებლობა. ასევე, გაგრძელდება სპორტული მოედნების მოწყობა, მომდევნო 4 წლის მანძილზე თბილისის ყველა რაიონსა და უბანში ჯამში 500-ზე მეტი სპორტული მოედანი მოეწყობა.

მრავალფუნქციური ახალგაზრდული სოფელი - კოჯორში, 30,000 კვმ ტერიტორიაზე მწვანე სივრცეში აშენდება საერთაშორისო სტანდარტების, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, მრავალფუნქციური ახალგაზრდული სოფელი. ერთიან სივრცეში შეიქმნება საგანმანათლებლო, საცხოვრებელი, საფესტივალო, სარეკრეაციო და სპორტული ინფრასტრუქტურა. ახალგაზრდული ცენტრის კონცეფციას თავისი მასშტაბებით ევროპაში ანალოგი არ აქვს და შეეძლება, წლის ნებისმიერ პერიოდში უმასპინძლოს მასშტაბურ საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის ახალგაზრდულ პროექტებს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების მოდერნიზების პროექტი - თბილისის ათივე რაიონში განხორციელდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების მოდერნიზების პროექტი. შეიქმნება საერთო-სამუშაო, არაფორმალური, თუ საგანმანათლებლო შეხვედრების, ტრენინგების

თანამედროვე სივრცეები. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება ახალგაზრდობის 3 სახლს, პარალელურად კი, აშენდება 7 ახალი, თანამედროვე დიზაინისა და სტანდარტების ცენტრი. პროექტის განხორციელების შედეგად 10 000-ზე მეტი ახალგაზრდა ისარგებლებს გაუმჯობესებული გარემოთი და ევროპული სტანდარტის ახალგაზრდული სერვისებით.

კულტურული მემკვიდრეობა

23. რა ღონისძიებებს მიმართავთ თბილისის ისტორიული იერსახის შესანარჩუნებლად?

მომდევნო 4 წლის გეგმა, გამოვყოთ და განვახორციელოთ 350 000 000 ლარამდე ღირებულების სამუშაოები ძველი თბილისის შემდეგ პროექტებზე:

- **გორგასლის ბულვარის რეაბილიტაცია**, რაც გულისხმობს მტკვრის მარჯვენა სანაპიროს რეკრეაციული ბულვარის მოწყობას (აბანოთუბნიდან - ორთაჭალჰესამდე). პროექტის განხორციელების შედეგად, ისტორიულ თბილისს 9 ჰექტარი მწვანე სივრცე შეემატება, გაჩნდება ახალი მიზიდულობის კერა ქალაქის ისტორიულ ნაწილში, მოხდება მარჯვენა სანაპიროს დაკავშირება მარცხენა სანაპიროსთან საფეხმავლო ხიდით, გაჩნდება ახალი საფეხმავლო დერეფანი, რაც გაამდიდრებს ტურისტულ მარშრუტს და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ეკოლოგიური მდგომარეობა მიმდებარე უბნებში. პროექტის განხორციელებისთვის 150 000 000 ლარი გამოიყოფა.
- **ნარიყალას ციხის რეაბილიტაცია**, რაც გულისხმობს ციტადელის სამხრეთის მხარის არსებით სტრატეგიულ მნიშვნელობას და სხვა ღირებულებებს. რეაბილიტაცია მოიცავს სტამბოლის კოშკიდან მოხლეჩილ კოშკამდე სრულ ბმას ბოტანიკურ ბაღში გასასვლელი ე.წ. ცოტა კარით. პროექტის განხორციელების შედეგად წარმოჩნდება ქალაქის პრიორიტეტული ძეგლის დაცვის მნიშვნელობა, გაიზრდება ტურისტული აქტივობა და მდგრადი შემოსავლები. პროექტის განხორციელებისთვის 10 000 000 ლარი გამოიყოფა.
- **ბარათაშვილის გალავნის რეაბილიტაცია**, რაც გულისხმობს ქალაქის ისტორიული ნაწილის შემადგენელი კედლისა და 8 შენობა-ნაგებობის სრულ რეკონსტრუქციას/განახლებას, მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის 7 ძეგლისა. პროექტის განხორციელების შედეგად შენარჩუნდება თბილისის გალავნის კედელი და მოხდება დაკავშირება უკვე რეაბილიტირებულ პუშკინის ქუჩასა და ორბელიანის მოედანთან, გაუმჯობესდება მაცხოვრებელთათვის საცხოვრებელი პირობები და აღნიშნულ უბანში უძრავი ქონების ღირებულება გაიზრდება. პროექტის განხორციელებისთვის 35 000 000 ლარი გამოიყოფა.
- **სულხან-საბასა და ინგოროყვას ქუჩების რეაბილიტაცია**, გულისხმობს აღნიშნულ არეალში 24 შენობა-ნაგებობის სრულ რეაბილიტაციას. სექტორი წარმოადგენს ქალაქის ცენტრალურ და განსაკუთრებულ ლანდშაფტურ არქიტექტურულ სივრცეს. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, სექტორი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და მაღალი დატვირთვის არეალს წარმოადგენს. პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები, განახლდება მოძველებული და ამორტიზებული საკომუნიკაციო ქსელები, გაჩნდება ახალი ტურისტული მიზიდულობის კერა და გაიზრდება უძრავი ქონების ღირებულება. პროექტის განხორციელებისთვის 84 000 000 ლარი გამოიყოფა.

24. რას ფიქრობთ ხელოვნების მუზეუმის შესაძლო დანგრევასთან დაკავშირებით?

კანდიდატის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

სხვა საკითხები

25. 2021 წლის ივლისში განხორციელდა მასშტაბური ძალადობა ლგბტქი+ თემისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ. როგორია ამ საკითხზე თქვენი, როგორც მერობის კანდიდატის პოზიცია?

კანდიდატის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

26. მერობის შემთხვევაში, თქვენი კომპეტენციისა და პოლიტიკური როლის გათვალისწინებით, როგორ შეუწყობთ ხელს აზრის, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებების დაცვასა და თავისუფლებას?

კანდიდატის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

27. რა ღონისძიებებს გეგმავთ დაუსრულებელი მშენებლობების, ავარიული შენობა-ნაგებობების პრობლემების რეგულირებისთვის?

მოქალაქეებისთვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებაზე სრულ პასუხისმგებლობას ვიღებთ და თბილისის მასშტაბით ავარიული შენობების ჩანაცვლების პროგრამას ვიწყებთ!

- ჩანაცვლების პროგრამა 2022 წლიდან დაიწყება, რაც გულისხმობს ქალაქის მასშტაბით არსებული საბჭოთა დროინდელი ავარიული შენობების სრულად ჩანაცვლებასა და განახლებას.
- ჩანაცვლებას დაექვემდებარება ყველა ძველი შენობა, რომელსაც გასული აქვს ექსპლოატაციის ვადა და მინიჭებული აქვს ავარიულობის ხარისხი.
- ჩანაცვლების პროგრამა თბილისის მერიის დაფინანსებით განხორციელდება. თითოეული ასეთი პროექტი მხოლოდ ყველა მესაკუთრის თანხმობის შემთხვევაში განხორციელდება.
- პროგრამის ფარგლებში, მესაკუთრეებს თბილისის მერია ახალაშენებულ შენობებში გარემონტებულ საცხოვრებელ ფართებს გადასცემს.
- მშენებლობის პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში, მაცხოვრებლების ქირით გაყვანას თბილისის მერია დააფინანსებს.
- კონკურსის საფუძველზე, მუნიციპალიტეტი შეიმუშავებს სტანდარტულ არქიტექტურას, რომელიც მორგებული იქნება კონკრეტული უბნის ვიზუალსა და დიზაინზე. შედეგად, საბჭოთა დროინდელი არქიტექტურა თანამედროვე ქართული არქიტექტურით შეიცვლება.
- ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, არსებული შენობების კონტური არ გაიზრდება, რათა არ მოხდეს ურბანული სივრცეების ზედმეტად ათვისება. ასევე, არ დაიშვება სიმაღლეების

არაგონივრული მატება, რაც საშუალოდ 5-სართულიანი შენობების ნაცვლად, საშუალოდ 8-სართულიანი შენობებს გულისხმობს.

- ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული თითოეული პროექტი ავტოფარეხების სრულად დემონტაჟს და მათ ნაცვლად რეკრეაციული სივრცეების მოწყობას ითვალისწინებს.
- ჩანაცვლების პროექტებს ტენდერის საფუძველზე შერჩეული კერძო სამშენებლო კომპანიები განახორციელებენ. შერჩეული კერძო კომპანიები საზღაურის სახით მიიღებენ ნამატ ფართსა და სუბსიდიას მუნიციპალიტეტისგან, რომლის ოდენობაც ტენდერის მეშვეობით განისაზღვრება.
- ჩანაცვლების შემდეგ, მესაკუთრეების მფლობელობაში არსებული ქონების ღირებულება დაახლოებით 60-70%-ით გაიზრდება.
- პროგრამის ფარგლებში ყველა მოსახლე იმავე უბანში ახალ, კეთილმოწყობილ და კომფორტულ გარემოში განაგრძობს ცხოვრებას.
- პროგრამის ფარგლებში მესაკუთრეებს გადაეცემათ ზუსტად იმ ფართობის საცხოვრებელი სივრცე, რასაც დღეს ფლობენ.
- ყველა ახალი შენობა ენერგო ეფექტური იქნება, რაც მოსახლეებისთვის მნიშვნელოვნად შემცირებულ კომუნალურ გადასახადებს ნიშნავს.

28. როგორია თქვენი პოზიცია თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით?

კანდიდატის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

29. მდინარე მტკვარი - თბილისის ორგანული ნაწილი, ამ ეტაპზე ნაკლებად ათვისებულია. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება სატრანსპორტო თუ სარეკრეაციო მიზნებისთვის მისი უფრო ეფექტურად გამოყენება?

კანდიდატის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.